

მოზარდების სექსუალური აღზრდის საკითხები

თბილისის სკოლის შემთხვევის ანალიზი

თინათინ ჭაღიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავდ წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ჭალიაშვილი

23/01/2014

რეზიუმე

ნაშრომში განვიხილავ ამჟამად საქართველოში არსებულ მდგომარეობას მოზარდის სექსუალური აღზრდის შესახებ. ასევე წარმოვაჩენ სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით უცხოურ გამოცდილებას ამ საკითხში. ჩემი კვლევის მიზანი იყო თბილისში გამომეკვლია ზოგადად დამოკიდებულება სექსუალური ცხოვრებისადმი, რამდენად არიან ჩართულები და დაინტერესებულნი მშობლები ახლაგაზრდების ცხოვრების ამ ეტაპით. ჩავატარე კვლევა თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან(დედებთან). კვლევა ატარებდა ფოკუს ჯგუფის სახეს. წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად წარიმართა ოთხი ფოკუს ჯგუფი : გოგონების დედებთან, ბიჭების დედებთან, თავად გოგონებთან და ცალკე ბიჭებთან. მოსწავლეებთან მათი დატვირთული გრაფიკის, დროში აცდენის გამო, ჯგუფში შემაჯავალი წევრების ოდენობა შევაჯერეთ 5-5 კანდიდატამდე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სექსუალური ცხოვრების შესახებ საერთო ჯამში ორივე მხარეს სჭირდება საუბარი, თუმცა თემის სპეციფიკიდან გამომდინარე უხერხულობის დაძლევა არის პირველი დამაბრკოლებელი საკითხი.

ამავე ნაშრომში მოვიყვანე მაგალითები უცხო ქვეყნების შემთხვევებზე. ასევე განხილულია ამერიკაში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა.

ჩემს მიერ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია განსაზღვრა მოზარდებში ამ პრობლემის გასაანალიზებლად სოციალურ მუშაკმა რა კუთხით ჩართოს მშობელი, რა ქცევებს თუ დახმარებას ელიან შვილები მშობლებისგან.

ასევე სხვათა გამოცდილებებთან შეჯერებით, წინამდებარე ნაშრომი სკოლაში სოციალური მუშაკების როლსაც განსაზღვრავს. გადამწყვეტია სამომავლოდ დადგეს სკოლაში სოციალური მუშაკის არსებობის საკითხი.